



კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ჰორიზონტის გაფართოება-გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის

(ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის შესახებ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევა)

ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის მიმართ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევა განხორციელდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ICCN-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციის MercyCorps-თან პარტნიორობით პროექტის- “ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში. ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს USAID დაფინანსებით.

ავტორები:

მაია კუპრავა-შარვაშიძე
ქართლოს ქარუმიძე

2016 წელი, თბილისი

გამოთქმული მოსაზრებები ავტორებისაა და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს USAID-ისა და პროგრამის წევრი საერთაშორისო ორგანიზაციის MercyCorps-ის მოსაზრებებს.

შინაარსი

მოკლე მიმოხილვა-----	3
პროგრამის შესახებ -----	5
კვლევის მეთოდოლოგია -----	7
რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები -----	9
განათლება -----	16
სამოქალაქო ჩართულობა -----	21
გენდერი -----	29
ქალთა ოთახი -----	39
რეკომენდაციები-----	40
გამოყენებული ლიტერატურა -----	42

მოკლე მიმოხილვა

კვლევა ასახავს საქართველოს ორი რეგიონის - ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის 12 მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა და გოგონათა მდგომარეობას გენდერულ ჭრილში¹. ეს ის რაიონებია, სადაც ხორციელდებოდა პროექტი-“ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ICCN-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციის MercyCorps-ის მიერ. დასკვნები და რეკომენდაციები ეყრდნობა რაოდენობრივი კვლევას სამიზნე რეგიონებში-სტრუქტურირებული ინტერვიუსა და ანკეტირების მეთოდით მიღებულ მონაცემების კონტენტ -ანალიზს.

რაოდენობრივ კვლევაში წარმოდგენილია ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისათვის, გენდერული მიმართულებით ქალთა და გოგონათა მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშესაწყობად და ამ თემაზე მომუშავე დაინტერესებული ორგანიზაციებისა და პირებისათვის არის განკუთვნილი.

რაოდენობრივი კვლევის ძირითადი მიგნებები

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

- გამოკითხულთა 62% ფლობს პროფესიას. აქედან 38% აქვს უმაღლესი განათლება, 30%- საშუალო, ხოლო 15% პროფესიულ სასწავლებელი აქვს დამთავრებული. პროფესიის არჩევისას უმრავლესობისთვის (88%) გადამწყვეტი საკუთარი სურვილი იყო.
- 45% დასაქმებულია, მათგან 71%- საჯარო სექტორში. უმრავლეს შემთხვევაში, ოჯახიდან ერთი ან ორი ადამიანია დასაქმებული. გამოკითხულთა 52% აცხადებს, რომ მათი ოჯახის შემოსავალი 500 ლარზე ნაკლებია.
- გამოკითხულთა უმრავლესობა, ოჯახისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს მეუღლესთან ერთად იღებს.
- საოჯახო საქმეებს რესპოდენტების 35% დახმარების გარეშე, თავად ასრულებენ.
- გამოკითხულთა უმრავლესობის სახელზე არ არის გაფორმებული მიწა, სახლი, მანქანა და მსხვილფეხა საქონელი. ქონების დიდი ნაწილი მათი მეუღლეების ან სხვა ნათესავები სსახელზეა რეგისტრირებული.
- რესპონდენტთა ოჯახური მდგომარეობის შეფასებისას იკვეთება ნაადრევი ქორწინების ტენდენცია, 18-25 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში გამოკითხულთა 34% დაქორწინებულია. განქორწინებულთა რაოდენობა ყველა ასაკობრივ ჯგუფში დაბალია.

¹სამცხე-ჯავახეთი: ბორჯომი, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი და ნინოწმინდა, ქვემო ქართლი: წალკა, თეთრიწყარო, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი და რუსთავი.

- რესპონდენტთა 41%-ს სხვადასხვა მიზეზით სწავლა შეწყვეტილი აქვს. სწავლის შეწყვეტის ძირითად მიზეზად მათი 31% ოჯახის შექმნას ასახელებს. რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ნაადრევი ქორწინების პრობლემის არსებობას რეგიონში.

სამოქალაქო ჩართულობა

- გამოკითხვაში მონაწილე ქალების უმრავლესობა დაინტერესებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით. აქვთ სურვილი, რომ უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე სხვადასხვა აქტივობასა და პროგრამაში, მაგრამ დროისა და ინფორმაციის ნაკლებობის გამო ამას ვერ ახერხებენ.
- გამოკითხულთა უმრავლესობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური გამოწვევებია.
- რესპონდენტების უმრავლესობის აზრით, ხელისუფლება უნდა უსმენდეს მოსახლეობის მოსაზრებებს. ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდნენ მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებს, აზარებდნენ მათ ანგარიშს, აწვდიდნენ ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ. მოსახლეობა უნდა აქტიურობდეს საკუთარი უფლებების და ინტერესების დასაცავად. აგრეთვე, გამოკითხულთა 42% ეთანხმება იმ აზრს, რომ საქართველოში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან პრობლემების მოგვარებაზე.
- რესპონდენტების დიდი უმრავლესობა საკმარისად არ აქტიურობს მათ წინაშე არსებული გამოწვევების მოსაგვარებლად.

გენდერი

- რესპონდენტთა უმრავლესობას კარგად ესმის გენდერული თანასწორობის არსი და აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის და ზოგადად, სახელმწიფოსთვის თანასწორობა და სამართლიანობა.
- მათი მოსაზრებები პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გენდერული სტერეოტიპებისგან არ არის თავისუფალი.
- გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ გენდერული უთანასწორობის გამოწვევა არსებობს მათ მუნიციპალიტეტებში, თუმცა, აღნიშნავენ იმ ფაქტსაც, რომ ბოლო დროს მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება, რასაც, ძირითადად, ადგილობრივი ხელისუფლების (29%) და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა უწყობს (28%) ხელს.
- უმრავლესობას მიაჩნია, რომ გენდერული უთანასწორობის გამოწვევების დასაძლევად, საჭიროა ამ საკითხისადმი დამოკიდებულების შეცვლა, მოსახლეობის მეტად ინფორმირება და კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.

ქალთა ოთახი²

- გამოკითხული მოსახლეობის, თითქმის, ნახევარი (44%) ფლობს ინფორმაციას ქალთა ოთახის შესახებ, თუმცა, მათ დიდ ნაწილს (65%) არ უსარგებლია მომსახურებით. 60% თვლის, რომ მას არ აქვს მსგავსი საჭიროება და 20% -ს არ აქვს ინფორმაცია თუ რა მომსახურების მიღება შეუძლია ქალთა ოთახში.
- რესპონდენტთა ნაწილისთვის სასურველი იქნებოდა, ქალთა ოთახისთვის საგანმანათლებლო კურსების, საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრების და საგრანტო პროგრამების დამატება.

პროგრამის შესახებ

საქართველოში გოგონებსა და ქალებს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ. ბარიერები აქვთ გადასალახი და შეზღუდულები არიან, განსაკუთრებით სოფლად, რაც, ფსევდოკულტურული წეს-ჩვეულებებიდან და რეალობას მოწყვეტილი ტრადიციული პატრიარქალური წყობიდან გამომდინარეობს. უთანასწორობის, დისკრიმინაციის და გენდერული ძალადობის შესახებ, როგორც, ზოგადად-მოსახლეობაში და მათ შორის თავად ქალებშიც პრობლემის აღქმა დაბალია და ამისათვის „საჭიროა არა მხოლოდ მოქმედების, არამედ აზრის თავისუფლება“³.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს პარლამენტმა 2010 წელს მიიღო, თუმცა კანონის აღსრულება პრობლემად რჩება როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. ხელისუფლებას მწირი წარმოდგენა აქვს გენდერული თანასწორობის პრინციპების ყოველდღიურ პრაქტიკაში განხორციელების შესახებ. შედეგად ქალები მოკლებული არიან მონაწილეობის შესაძლებლობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გავლენას ვერ ახდენენ, როგორც საზოგადოებრივ, ასევე - ეკონომიკურ შედეგებზე. ასეთი მდგომარეობა და უუფლებობა თავის მხრივ უთანასწორობას აძლიერებს.

პროექტს ქალებისა და გოგონებისთვის ახალი პროფესიული და ეკონომიკური შესაძლებლობები უნდა შეექმნა, მათი აზროვნების ჰორიზონტის გაფართოებასა და გამოხატვის შესაძლებლობას დახმარებოდა ინფორმაციისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხელშეწყობით.

² ახალი მუნიციპალური სერვისი რომელიც არსებობს მხოლოდ 13 მუნიციპალიტეტში: წალკა, თეთრიწყარო, დმანისი, ბოლნისი, მარნეული, გარდაბანი, რუსთავი, ახალციხე, ადიგენი, ასპინძა, ნინოწმინდა, ახალქალაქი და ბორჯომი. 2012-13 სამი ქალთა ოტახი გაიხსნა წალკა, თეთრიწყარო და დმანისი, ხოლო დანარჩენი ათი ქალთა ოთახი შეიქმნა 2014-16 წლებში.

³ განვითარება როგორც თავისუფლება, ამარტა სენი 2001გვ.15

პროგრამის ერთ-ერთი მიმართულება- **ქალთა ოთახი, ღია სივრცე ქალებისათვის და არა მარტო ქალებისათვის** - ახალი მუნიციპალური სერვისია, რომლის შექმნის მიზანია თვითმმართველობის ორგანოებთან, მუნიციპალიტეტებთან⁴ ქალაქისა და სოფლად მცხოვრები ქალების ჩართულობის, ინფორმირებულობის, თანამონაწილეობისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის ხელშეწყობა.

ქალთა ოთახი მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა სერვისს:

- ბიბლიოთეკა, კომპიუტერით და ინტერნეტით მომსახურება, ბავშვთა კუთხე;
- ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობაზე და სიახლეებზე ინფორმაციის მიწოდება ქალებისათვის;
- სპეციალური ტრენინგ პროგრამების და სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობების ჩატარება;
- კონსულტაციები;
- მონათესავე თემებზე მომუშავე სხვადასხვა პროგრამის ჯგუფების შეკრების ადგილი.

სწორედ ქალთა ოთახების საქმიანობის მხარდასაჭერად ჩატარდა „გენდერული თანასწორობის მიმართ ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევა“ რომელიც მომზადდა კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის ICCN-ისა და საერთაშორისო ორგანიზაციის MercyCorps-ის პარტნიორობით; “ჰორიზონტის გაფართოება-გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ პროექტის ფარგლებში, ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერითაც და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს USAID დაფინანსებით.

⁴ ქვემო ქართლი: რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეული წალკა; სამცხე - ჯავახეთი: ბორჯომი, ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, წინოწმინდა

ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში გენდერული თანასწორობის კუთხით ქალთა და გოგონათა დამოკიდებულების კვლევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2016 წლის გაზაფხულზე და მოიცავს ჩვენი სამიზნე რეგიონების 12 მუნიციპალიტეტი. კვლევაში წარმოდგენილია ქალთა და გოგონათა მდგომარეობის სიტუაციური ანალიზი გენდერულ ჭრილში. აქვე მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტებისათვის ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისათვის და სახვადასხვა საჭიროების გამოსავლენად და, ასევე, ახალი მუნიციპალური სერვისის-„ქალთა ოთახების“ მიერ ყოველწლიურად ჩასატარებელი ქალთა მდგომარეობის და გენდერული თანასწორობის მიმართულებით რაოდენობრივი კვლევის პირველადი ნიმუშის შესაქმნელად.

რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო, შეგვესწავლა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რა ტიპის გამოწვევებსა და სირთულეებთან აქვთ შეხება ქალებსა და გოგონებს საქართველოს აღნიშნულ ორ რეგიონში

კვლევის დანიშნულება იყო ახალი მუნიციპალური სერვისის-„ქალთა ოთახების“ მიერ ყოველწლიურად ჩასატარებელი ქალთა მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით რაოდენობრივი კვლევის პირველი ნიმუშის-მოდელის შექმნა, მუნიციპალიტეტების სხვადასხვა სამსახურებში წარსადგენად და ამ მიმართულებით შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად.

რაოდენობრივი კვლევის მიზნის მისაღწევად შევისწავლეთ შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხები:

- ქალთა მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა;
- ქალთა განათლების მდგომარეობა;
- ქალთა სამოქალაქო ჩართულობა;
- გენდერული თანასწორობისადმი მათი დამოკიდებულება;
- ახალი მუნიციპალური სერვისის ქალთა ოთახების საქმიანობის შეფასება;
- რეკომენდაციების პაკეტის შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია განისაზღვრა „კვლევის ფარგლებში ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ სრულწლოვან ქალთა და გოგონათა დამოკიდებულებით რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით. რაოდენობრივი კვლევის ტექნიკად შერჩეულ იქნა პირისპირ ინტერვიუება წინასწარ დამუშავებული კითხვარით. ინტერვიუებები იყვნენ პროექტის ბენეფიციარები, რომლებმაც გაიარეს სათანადო ტრენინგი. მონაცემთა ბაზის

გაწმენდისა და ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა სტატისტიკური პროგრამა SPSS 23.0.

შერჩევის მეთოდი:

სამიზნე მოსახლეობას წარმოადგენდა ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის 720 ქალი. შერჩევის ჩარჩო დაიყო ორ სტრატად: ურბანულად და რურალურად. თითოეულ სტრატაში რესპონდენტთა რაოდენობა განისაზღვრა მოსახლეობის რაოდენობის პროპორციულად. შემდეგ განისაზღვრა ქალების ასაკობრივი ჯგუფებიც: 18-25 წელი, 26-35 წელი, 36-45 წელი, 46-55 წელი, 55 წელს ზევით. შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეულ დასახლებული პუნქტები საარჩევნო უბნების საზღვრების შესაბამის კლასტერებად დაიყო. წინასწარ განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით შემთხვევითი ხეტილის წესის გამოყენებით შეირჩა რესპონდენტები. ოჯახიდან გამოიკითხა მხოლოდ ერთი ქალი. მაქსიმალური სტატისტიკური ცდომილება 95%-იანი სანდოობის ალბათობის პირობებში შეადგენს 5%-ს.

ველის კონტროლი:

ველის დასრულების შემდეგ შემთხვევითი პრინციპით შეირჩა გასაკონტროლებელი ანკეტები, რაც წარმოადგენდა საერთო რაოდენობის 5% და სატელეფონო კავშირის გზით გადამოწმდა რესპონდენტებთან ნამდვილად იყო თუ არა ინტერვიუერი კვლევაზე და რამდენი ხანი დასჭირდა ინტერვიუსთვის.

კვლევის ამოცანები:

აღნიშნული კვლევის ჩატარება ემსახურებოდა მიზანს შეისწავლოს შერჩეულ რეგიონებში მცხოვრებ ქალთა და გოგონათა შეხედულება, მათი დამოკიდებულება გენდერული თანასწორობის მიმართ. გამოავლინოს რამდენად ახდენს სოციალური ნორმები და ტრადიციები გავლენას მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში ქალების მონაწილეობაზე.

კვლევა დაყოფილი იყო ხუთ თემატურ ბლოკად დემოგრაფიულ, განათლების, სამოქალაქო ჩართულობის, გენდერისა და ქალთა ოთახის.


რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები:

რესპონდენტების ასაკობრივი ჯგუფები პროცენტულად ასე გადანაწილდა; 18-25 წლამდე 16%, 26-35 წლამდე 26%, 36-45 წლამდე 23%, 46-55 წლამდე 21%, ხოლო 55 წლის ასაკზე უფროსი ქალების რაოდენობამ 14% შეადგინა.

გამოკითხულთა 65% ქართველია, 19% სომეხი, 13% აზერბაიჯანელი და 3% სხვა ეროვნულ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ.


გამოკითხულთა 69% დაოჯახებულია, 19% არ არის დაოჯახებული, 4% გამოჩნდება, ხოლო 8% ქვრივია.

გრაფიკი N1




გამოკითხულთა 45% თავს დასაქმებულად მიიჩნევს, ხოლო 55% დაუსაქმებელად. დასაქმებულთა 71% საჯარო სექტორში მუშაობს, 19% კერძო სექტორში და 10% თვითდასაქმებულია.

გრაფიკი N2



გამოკითხულთა მანჯვენებელიდან ირკვევა, რომ 300 დან 500 ლარამდე შემოსავლის მქონე ქალები გამოკითხულთა 44,72% შეადგენს, 44,47%-ს არ აქვს შემოსავალი ან მისი შემოსავალი 100 ლარამდეა (2016 წლის ივლისის მონაცემებით სარსებო მინიმუმი შეადგენს 156,00 ლარს)⁵; რესპონდენტთა მხოლოდ მცირე ნაწილის შემოსავალი აღემატება 1000 ლარს- 5,86%.

გრაფიკი N3




კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით გამოკითხული ქალების დიდი ნაწილი ეკონომიკურად

⁵ განმარტება http://www.geostat.ge/?action=page&p_id=178&lang=geo (ბოლო ნახვა 2016.08).

დამოკიდებულია სხვაზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება სხვებზე ზრდის საფრთხეს და მეტად მოწყვლადს ხდის ქალებს, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ქალთა უსიტყვო მორჩილებას და უფლებობას, როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში⁶(გრაფიკი N3).


რესპონდენტების დიდი ნაწილი სამ და მეტწევრიან ოჯახში ცხოვრობს, რომელშიც ოჯახის წევრთა უმრავლესობა სრულწლოვანია.

გრაფიკი N4



თუმცა, გამოკითხულთა ოჯახების 57% ერთი ადამიანის კმაყოფაზეა, ხოლო ორი და მეტი დასაქმებული წევრი ოჯახების მხოლოდ 23%-შია. ეს მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს სამიზნე რეგიონებში მნიშვნელოვან გამოწვევად კვლავ რჩება დასაქმების პრობლემა.


გრაფიკი N5



⁶საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ცხოვრების დონის მიხედვით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მონაცემები http://www.geostat.ge/?action=page&p_id=187&lang=geo (ბოლო ნახვა 8.07.16)


შემდეგი გრაფიკი N5 საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ოჯახის სავარაუდო შემოსავალი. რესპონდენტთა 24,29%-ს აქვს სამასიდან ათას ლარამდე შემოსავალი, 24%-ს ხუთას ლარამდე, 23,48% - სამასი, ხოლო ათასი ლარის ზევით შემოსავალი აქვს 13,00%-ს. ამ ცხრილის მონაცემებით იკვეთება, რომ რესპონდენტების პირადი შემოსავალი ოჯახებისთვის, ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი შემოსავალია, რაც რეგიონში არსებული რთული ეკონომიკური მდგომარეობის კიდევ ერთი მაჩვენებელია.

გრაფიკი N5




შემდეგ გრაფიკში მოცემულია მონაცემები, თუ ვინ უზრუნველყოფს ოჯახს ფინანსურად. მეუღლეები - 34,11%, თავად ქალები- 16,11%, ოჯახის სხვა წევრი მამაკაცები- 12,45% და 10,40%- ოჯახის სხვა წევრები, ორივე მეუღლე ერთად-3,51% (*ჩვენი საქმიანობა ქალთა ოთახებში, სწორედ, ამ პროცენტის გაზრდის ხელშესაწყობად არის მიმართული!*), მხოლოდ 2,93%-ია, როცა ყველა სრულწლოვანი წევრი უზრუნველყოფს ოჯახს ფინანსურად.

გრაფიკი N 6




კვლევისთვის, ასევე, მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია, თუ ვინ იღებს ოჯახში გადაწყვეტილებებს. რამდენად არიან რესპონდენტები ჩართულები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 40% ყოველდღიური საჭიროების ნივთების შეძენასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს თავად იღებს. ხოლო დანარჩენ, უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილებას მეუღლეებთან და სხვა ნათესავებთან ერთად იღებენ. ამრიგად, ჩანს რომ ქალები მეტ-ნაკლებად აქტიურად არიან ჩართულები ოჯახში გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გრაფიკი N7



მესაკუთრე ქალების გამოსავლენად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გრაფიკი N8. ნათლად ჩანს, თუ ვინ ფლობას ამა თუ იმ ქონებას. აქ ნათლად არის ასახული ქალის ქონებრივ მდგომარეობა, ეკონომიკური დამოუკიდებლობა და არსებულ სტერეოტიპული ზეგავლენა ქალზე.

გრაფიკი N8




მიწის მფლობელი ქალების რესპონდენტთა 6,94%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი დამაფიქრებელია და - შემაშფოთებელიც. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკითხული ქალების უმრავლესობა არ არის მიწის მესაკუთრე, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველო „ტრადიციული“ ქვეყანაა და ოჯახის ქონების

მემკვიდრეობით გადაცემის უპირველესი უფლება ვაჟიშვილისაა და მშობლების ქონება არ ნაწილდება შვილებზე, კერძოდ, ქალსა და ვაჟს შორის. შედეგად, კაცი ქონებრივ მემკვიდრეობაში უპირატესია.

მსგავსი მაჩვენებელი გვაქვს ყველა ტიპის უძრავ ქონების ფლობაზე. ბინის/სახლის მფლობელთა 20,23% რესპონდენტების მეუღლეები არიან, ხოლო 6,19% თავად არის ბინის მესაკუთრე. ავტომანქანის მეპატრონე ქალი 3,38% აღმოჩნდა. მსხვილფეხა საქონლის მესაკუთრეთა მდგომარეობა შემდეგნაირია: ქალების მხოლოდ 4.61% გაფორმებული მსხვილფეხა საქონლის მეპატრონედ. უარი პასუხზე, მიჭირს პასუხი და არ არის გაფორმებული მთლიანობაში შეადგენს გამოკითხულთა 96,71 %-ს. პასუხზე უარის ასეთი დიდი პროცენტი, აიხსნება იმითი, რომ მსხვილფეხა საქონლის პასპორტიზაცია 2015 წელს დაიწყო და ეს პროცესი 2018 წლამდე უნდა დამთავრდეს. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის უმრავლესობისთვის საქონლის რეგისტრაცია უცნობი თემაა და ამიტომაც, თავს არიდებენ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას. სხვა საკუთრების ტიპს ფლობს გამოკითხულთა 25,56%. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ქალის ეკონომიკურ მიჯაჭვულობას ოჯახის სხვა წევრებზე, რაც მეტად უქმნით საფრთხეს მათ, რომ მუდმივად იყვნენ სხვადასხვა ძალადობის რისკ ჯგუფში.

ქონებრივ მდგომარეობასთან რადიკალურად განსხვავებულ სურათს ვხედავთ საოჯახო საქმიანობის გადანაწილების დროს. საოჯახო საქმეებს ძირითადად ქალები ასრულებენ - 34,85%, ოჯახის ყველა წევრი მასთან ერთად - 18,89%, ოჯახის სხვა წევრი ქალები-18,30%, ორივე მეუღლე ერთად - 10,98%, ოჯახის წევრი მამაკაცები-6,88%, სხვა წევრები-5,12%. აქაც ვაწყდებით ტრადიციად ქცეულ სტერეოტიპს „ოჯახში საქმიანობა ქალის საქმეა“.

გრაფიკი N9




განათლება

რაოდენობრივი კვლევის ამ ბლოკის მიზანი იყო გაგვეგო ქალთა განათლების მდგომარეობა ჩვენს სამიზნე რეგიონებში და მასთან დაკავშირებული გამოწვევები.


კითხვაზე, გაქვთ რაიმე პროფესია? გამოკითხულთა 62,29% დადებითად პასუხობს, 5,57% კი ახლა იძენს პროფესიას.

გრაფიკი N10




მნიშვნელოვანი იყო იმის გარკვევა თუ რამდენად დამოუკიდებულად ირჩევს ქალი თავის მომავალ პროფესიას და ასეთი გამოკითხულთა 88% აღმოჩნდა.

გრაფიკი N11




რესპონდენტთა 38,29%-ს აქვს უმაღლესი განათლება, საშუალო განათლება აქვს 29%, 15% -ს პროფესიული სასწავლებელი აქვს დამთავრებული და 5,57% კი ახლა იძენს პროფესიას.

გრაფიკი N12




კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო გაგვევო, რესპონდენტებს შეუწყვეტიათ თუ არა განათლება და რა მიზეზით. 31,23% სწავლის შეწყვეტის მიზეზად ოჯახის შექმნას და შვილების გაჩენას ასახელებს, 20% კი - ფინანსურ მდგომარეობას. მიგნება, რომელიც ამ გრაფიკში გვაქვს, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გამოწვევაა ადრეული ქორწინება და ხშირად მოჰყვება ხოლმე პასუხი: „უკვე გვიანია სწავლის გაგრძელება“- 64,95%.

გრაფიკი N13




გრაფიკი N14




როგორც უკვე აღვნიშნეთ, რაოდენობრივი კვლევისას ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, რა ოჯახური მდგომარეობა ჰქონდათ გამოკითხულ ქალებს, ჰყავდათ თუ არა შვილები და როგორი იყო მათი დამოკიდებულება მათ განათლებასთან მიმართებაში. გამოკითხულთა 79,86% ჰყავს შვილები და მათი განათლება, რესპონდენტთა 84,96%-ს განცხადებით დამოკიდებულია მხოლოდ შვილების სურვილზე ანუ მათ გადასაწყვეტია, როგორი ფორმით გააგრძელებენ განათლების მიღებას. რესპონდენტთა 24,46% მიიჩნევს, რომ შვილების განათლება ოჯახის ფინანსურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, ხოლო 12,50% -ს მიაჩნია რომ ოჯახის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული მათი შვილების სწავლის გაგრძელება.

გრაფიკი N15




გრაფიკი N16




მნიშვნელოვანია ქალთა არაფორმალური განათლება, რა სახის განათლებას იღებენ ეს ქალები. პასუხებიდან ჩანს, რომ 57,29% არ მიუღია მონაწილეობა არცერთ საგანმანათლებლო პროგრამაში, 41,29%-ს აქვს ტრენინგებში მონაწილეობის გამოცდილება. საინტერესო იყო, დაგვედგინა, თუ რატომ არ მიუღიათ მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამებში? მიზეზად 37,41%-მა უდროობა, 34,66%-მა ინფორმაციის და 22,94% სურვილის არქონა დაასახელა. ამ გამოკითხვის შედეგებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის, რომ არ ხდება რესპონდენტთა უმრავლესობის სათანადო ინფორმირება და მათი დაინტერესება საგანმანათლებლო სწავლებაში მონაწილეობისთვის, შესაბამისად, არ მიეწოდებათ ინფორმაცია იმ სიკეთეებზე, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სთავაზობს სხვადასხვა ტრენინგი ცოდნისა და თვალსაწიერის გაზრდის კუთხით. ხელს უწყობს მათი პროფესიული და მენტალური განვითარების ტემპს, რასაც, უმეტეს შემთხვევაში, მოჰყვება მათი დასაქმება უფრო მაღალი პოზიციებზე და საოჯახო საქმიანობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა.

გრაფიკი N17




გრაფიკი N18




ერთ-ერთი მიზეზი თუ რატომ ვერ ახერხებს ქალი უფრო მეტი დრო დაუთმოს განვითარებას და მეტ-ნაკლებად ეზიაროს ახალ ტექნოლოგიებს და იყოს მეტად ინფორმირებული არის ის, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარს იშვიათად ან საერთოდ არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე.

გამოკითხულთა 34,65% ინტერნეტით არ სარგებლობს და მიზეზად ასახელებს დროის უქონლობას, 27,66% - კომპიუტერის და 21,28% - ინტერნეტის არქონას, 22,80% - არცოდნას.

გრაფიკი N19



გრაფიკი N20




სამოქალაქო ჩართულობა

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საინტერესო იყო ქალების სამოქალაქო ჩართულობის დონის განსაზღვრა. იმისი დადგენა, თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულები მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებში, რას აღიქვამენ პრობლემად, როგორ ცდილობენ მათ მოგვარებას და როგორ აფასებენ ხელისუფლების მუშაობას.


პირველ რიგში, საინტერესო იყო იმის გარკვევა თუ რამდენად აქტიურად არიან ჩართულები არჩევნებში და იცნობენ თუ არა მათ წარმომადგენლებს თვითმმართველობის და საკანონმდებლო ორგანოებში. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეთა დიდ ნაწილს (73%) მონაწილეობა აქვს მიღებული 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში.

გრაფიკი N21



ამასთან, რესპონდენტთა ნახევარს შეუძლია დაასახელოს, როგორც მათი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, ასევე საკრებულოს თავმჯდომარე. ხოლო, გამოკითხულთა 73% შეუძლია დაასახელოს მათი ქალაქის მერი/გამგებელი ან სოფლის რწმუნებული. ამ მონაცემებიდან ნათელი ხდება, რომ ქალები აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში, იცნობენ მათ წარმომადგენლებს, რაც ერთი მხრივ, მიუთითებს მათ ინტერესზე პოლიტიკური პროცესებისადმი და მეორე მხრივ თვითმმართველობის და საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენელთა აქტიურობაზე.


გრაფიკი N22



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემის მოგვარებაა. სწორედ ამის გასარკვევად - თუ რამდენად განიხილავენ რესპონდენტები თვითმმართველობის ორგანოებს პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ საშუალებად, დავინტერესდით, მიუმართავთ თუ არა მათ ადგილობრივი თვითმმართველობის


წარმომადგენლებისთვის რაიმე პრობლემის მოსაგვარებლად. გამოკითხულთა 70%-ს არ მიუმართავს ამგვარი თხოვნით. მათი 78% ამის მიზეზად საჭიროების არქონას ასახელებს.

გრაფიკი N23



გამოკითხულთა 28%-ს მიუმართავს ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და მათმა ნახევარმა დადებითი შედეგი მიიღო.


გრაფიკი N24




სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რამდენად არიან ჩართული მოქალაქეები ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რამდენად არიან ინფორმირებულები მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. მოსახლეობასთან მუშაობისთვის და მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ყველა სოფელში ტარდება „სოფლის კრებები“, სადაც მოქალაქეები უნდა საუბრობდნენ იმ საჭიროებებზე და პრობლემებზე, რისი გადაჭრაც სურთ „სოფლის დახმარების პროგრამით“. ამ მიმართულებით კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო

გაგვეგო ქალთა მონაწილეობა ამ პროცესებში. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (55%) საერთოდ არ ესწრება გამგეობის/სოფლის კრებებს და ამის მიზეზად მათი 51% დროის უქონლობას ასახელებს, 28%-ს არ აინტერესებს და 20% აცხადებს, რომ არ იწვევენ კრებებზე. მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულთა ნახევარზე მეტი საერთოდ არ ესწრება კრებებს და რომ კრებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს, ხშირ შემთხვევაში, იგებენ ნაცნობ-მეგობრებისგან და მასმედიის საშუალებებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა დაინტერესებულია ამგვარი ინფორმაციის მიღებით და მხოლოდ 0.5%-ს არ აქვს ინტერესი ამ მიმართულებით.

გრაფიკი N25




გრაფიკი N26




მაღალი სამოქალაქო ჩართულობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მოსახლეობის აქტიურობა მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოსაგვარებლად. ამის შესახებ დასმული კითხვიდან ირკვევა, რომ რესპონდენტთა 60%-ს არ უცდია მის ქალაქში/სოფელში არსებული პრობლემის გადაჭრა. მათ კი ვისაც უცდია პრობლემების მოგვარება, ამისთვის ძირითადად ხელმოწერების შეგროვების (14%) და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრის (14%) გზისთვის მიუძღრთავს. 7%-ს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უცდია პრობლემის მოგვარება, ხოლო 2%-ს საპროტესტო აქციებით.

გრაფიკი N27




რესპონდენტთა უმრავლესობამ ადგილზე არსებულ პრობლემად დაასახელა ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები. 26%-მა უარი თქვა პრობლემების დასახელებაზე.

გრაფიკი N28




ხელისუფლების ეფექტიანობის შეფასების მიზნით დასმული შეკითხვიდან გაირკვა, რომ რესპონდენტთა 48%-ის შეფასებით მთავრობა ნაწილობრივ მუშაობს მათი პრობლემების მოგვარებაზე, 27,29% მიიჩნევს, რომ ის მუშაობს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე, 20%-ის აზრით კი მთავრობა არ ზრუნავს პრობლემების მოგვარებაზე.

გრაფიკი N29




იმის დასადგენად თუ რამდენად აქტიურად იყენებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შეთავაზებული სერვისებით, დავინტერესდით, სარგებლობენ თუ არა მოსახლეობისთვის განკუთვნილი მომსახურებით/პროგრამებით. რესპონდენტთა 76% აცხადებს რომ არ უსარგებლია მუნიციპალური მომსახურებით ან პროგრამით და ამის მიზეზად მათი 33% ინფორმაციის არ ქონას ასახელებს. 18% თვლის რომ ეს მათ არ დაეხმარება და 9% არ ააქვს ამის საჭიროება. გამოკითხულთა მხოლოდ 19% სარგებლობს მუნიციპალური მომსახურებით ან პროგრამით.

გრაფიკი N30




კითხვაზე, თუ საიდან იგებენ ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული მომსახურების/პროგრამების შესახებ, 46% მასმედიის საშუალებებს ასახელებს, 44% - ნაცნობ-მეგობრებს, 38% ხელისუფლების წარმომადგენლებს და 10% არასამთავრობო ორგანიზაციებისგან იღებს ინფორმაციას.

გრაფიკი N31



რესპონდენტებისთვის თანაბრად მნიშვნელოვანია ისეთი მუნიციპალური მომსახურების მიღება, როგორცაა მათთვის ინფორმაციის მიწოდება, კონსულტაციების გაწევა და ტრენინგები.

გრაფიკი N32




თუ როგორ უნდა მუშაობდეს ადგილობრივი თვითმმართველობა, ამ ფორმულირების ჩამოსაყალიბებლად რესპონდენტებს ვთხოვეთ შეეფასებინათ მათთვის წაკითხული დებულებები. გაირკვა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ხელისუფლება

უნდა უსმენდეს მოსახლეობის მოსაზრებებს, ბიუჯეტის დაგეგმვისას უნდა ითვალისწინებდნენ მათთვის მნიშვნელოვან პრობლემებს, აზარებდნენ მათ ანგარიშს, აწვდიდნენ ინფორმაციას მათი უფლებების შესახებ და, თავის მხრივ, მოსახლეობაც უნდა აქტიურობდეს საკუთარი უფლებების და ინტერესების დასაცავად.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად მუშაობენ მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარებაზე. მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ გამოკითხვაში მონაწილე ქალების უმრავლესობა დაინტერესებულია მუნიციპალიტეტში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებით. აქვთ სურვილი, რომ უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები სხვადასხვა პროცესში, მაგრამ ძირითადად დროის და ინფორმაციის ნაკლებობის გამო ვერ ახერხებენ ამას. აგრეთვე, პროგრესულად უნდა ჩაითვალოს მათი შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მუშაობდეს ხელისუფლება. ხელისუფლების რეალურ საქმიანობას კი რესპონდენტები მეტ-ნაკლებად დადებითად აფასებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს, გამოკითხვაში მონაწილეთა წინაშე არსებული პრობლემების მოგვარების საკითხებში მათი ნაკლები აქტიურობა.


გრაფიკი N33




გენდერი

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტს წარმოადგენდა გენდერული თანასწორობის მიმართ რესპოდენტების დამოკიდებულების შესწავლა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა (88%) გენდერული თანასწორობას განმარტავს როგორც ქალის და კაცის თანასწორუფლებიანობას.

გრაფიკი N34




გრაფიკი N35



რესპოდენტების უმრავლესობა თვლის, რომ მას არასდროს არ უგვრძნია თავი დაჩაგრულად იმიტომ, რომ ქალია.


შემდეგ სურათი ცოტათი იცვლება, რესპონდენტთა დიდი ნაწილი (63,00%) აღიარებს, რომ არსებობს ქალებსა და კაცებს შორის უთანასწორობის პრობლემა

გრაფიკი N36



რესპონდენტთა 40% შეფასებით გენდერული თანასწორობის მხრივ, ბოლო ხანებში, მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვალა, 36% თვლის, რომ არაფერი შეცვლილა და 17% მიაჩნია, რომ მდგომარეობა გაუარესდა.

გრაფიკი N37




მოცემულ პასუხებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, გენდერული თანასწორობა გამოკითხულებს ზუსტად ესმით, მაგრამ გამოწვევად რჩება აღქმა, რაც უფრო ვცვლით კითხვის ფორმულირებას და სიხშირეს, მით უფრო ვუახლოვდებით

ზუსტ მონაცემს და ამ მხრივ მთავარი მიგნებაა ის, რომ მათ კარგად აქვთ გააზრებული გენდერული თანასწორობის მნიშვნელობა და საჭიროება, აცნობიერებენ, რომ ეს პრობლემა არსებობს მათ რაიონში, თუმცა მათ უმრავლესობას არასდროს არ უგრძნია თავი დაჩაგრულად სქესის გამო. რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ რეალურ გარემოში ისინი ვერ ახერხებენ გენდერული უთანასწორობის პრობლემის სწორად იდენტიფიცირებას. პოსტულატების და ზოგადი განცხადებების დონეზე აღიარებენ ამ პრობლემის არსებობას მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება, ამის სათანადოდ აღქმას ვერ ახერხებენ.

რესპონდენტთა დამოკიდებულება, თუ რა უნდა გაკეთდეს გენდერული თანასწორობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად, პასუხებში კარგად ჩანს, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს ერთი კონკრეტული ქმედება, აუცილებელია კომპლექსური მიდგომა: საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლა- 43,99%, კაცების დამოკიდებულების შეცვლა საკითხის მიმართ- 39,48%, მეტი ინფორმაციის არსებობა ამ თემის ირგვლივ-34,24% და 30,39%- სიტუაციის უკეთესობისკენ შესაცვლელად საკანონმდებლო ცვლილებებების მიღება.


გრაფიკი N38



ქალთა და კაცთა თანასწორობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად მიჩნეულია ნეგატიური გენდერულ სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც აისახება საზოგადოებრივ აზროვნებაში. ჩვენი შემდეგი გრაფიკი სწორედ ამას აჩვენებს და აქაც გვაქვს საინტერესო შედეგები: ცოლის ბრმა მორჩილებას მეუღლის მიმართ არ ეთანხმება 56,14%, ბრმა მორჩილების მომხრეა 40,85%. სწორედ ამ პასუხებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება

საზოგადოებაში გაბატონებული ნეგატიური გენდერული სტერეოტიპების ზეგავლენა ქალებზე.

გრაფიკი N39



რესპოდენტები თვლიან, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად ქალმა არ უნდა აიტანოს ყველაფერი- 61,57% და აქვე შგვიძლია მივამატოთ ის 9,86% ,რომრლიც ნაწილობრივ ეთანხმება ამ მოსაზრებას. 23,43 მიიჩნევს, რომ ქალმა უნდა აიტანოს ყველაფერი ოჯახის შესანარჩუნებლად. ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოების და კერძოდ ქალის დამოკიდებულება ფიზიკური ძალადობის შემთხვევაში უნდა მიმართოს თუ არა ქალმა სამართალდამცავებს: 60,86% პასუხობს დადებითად და 21,86% -უარყოფითად.

ქალისა და კაცის საქმიანობის სტერეოტიპული გადანაწილება ნათლად ჩანს პასუხებში: ქალის საქმეა ოჯახის მოვლა, შვილის გაჩენა, ხოლო კაცის- მუშაობა და ოჯახის მართვა. გამოკითხულთა 43,14% ეთანხმება ამ მოსაზრებას, 29,85% არ ეთანხმება, 21,86 ნაწილობრივ არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. რესპონდენტთა


პასუხებიდან იკვეთება, რომ საოჯახო საქმიანობის გადანაწილება თანაბრად უნდა იყოს კაცსა და ქალს შორის -75,71%-ის აზრით.

გენდერულ სტერეოტიპებზე მოცემულ დებულებებზე პასუხებიდან ირკვევა, რომ ქალმა უნდა დაანებოს სამსახურს თავი თუ ვერ ახერხებს საოჯახო საქმეების შეთავსებას - 44,57%-ის აზრით. 30,00% ფიქრობს, რომ არ უნდა დაანებოს ქალმა სამსახურს თავი. ქონების თანაბარ გადანაწილებას ეთანხმება 81,14% რესპოდენტებისა და რომ ქონება კაცსა და ქალს შორის თანაბრად უნდა განაწილდეს, გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა 80,57% ეთანხმება - სხვადასხვა რესურსებზე და შესაძლებლობებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა უნდა ქონდეს ქალსაც და კაცსაც.

განათლების მიღებასთან დაკავშირებითაც ვხედავთ, რომ გამოკითხულთა 62,15% არ მიიჩნევს განათლების მიღებას კაცის პრიორიტეტად. პროფესიის არჩევის დროს ქალი თავისუფალი უნდა იყოს არჩევანში-გამოკითხულთა 87,58% ეთანხმება ამ მოსაზრებას. მნიშვნელოვანი იყო გაგვევო ადრეულ ქორწინებასთან დაკავშირებით რესპოდენტების აზრი და ვხედავთ, რომ მათი უმრავლესობისთვის - 76,57%-თვის ეს არ არის ბუნებრივი მოვლენა და პრობლემას წარმოადგენს ქალისთვის. ასევე, უმრავლესობის აზრით- 77,00%, ქალი ფინანსურად დამოუკიდებელი უნდა იყოს


გენდერული თანასწორობისთვის მნიშვნელოვანია ყველას მიუწვდებოდეს ხელი ისეთ რესურსებზე, როგორცაა მიწა, ტექნიკა, კრედიტები და ასე შემდეგ. ამასთან დაკავშირებით რესპოდენტთა 54% თვლის, რომ ამგვარ რესურსებზე ყველას თანაბრად მიუწვდება ხელი, ხოლო 37% აზრით მსგავს რესურსებზე ხელი მიუწვდებათ მხოლოდ კაცებს.

გრაფიკი N40




მნიშვნელოვანია, გაგვეგო სწავლის საფასურის გადასახდელად არჩევანის შემთხვევაში, ვის მიაჩნებდა უპირატესობას ოჯახი ქალს თუ ვაჟს და აღმოჩნდა 71,86% უკეთესი შესაძლებლობების და უნარების მიხედვით მიიღებდა მსგავს გადაწყვეტილებას.

გრაფიკიN41




რესპონდენტთა 44,14%-ს მიაჩნია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობაში ქალები და კაცები თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი, 38,43%-ს მნიშვნელობა არ აქვს ამ გადანაწილებას.

გრაფიკიN42




დეპუტატად არჩევის დროს გამოკითხულთა უმრავლესობისთვის 65%-ის აზრით თანაბარი შესაძლებლობის შემთხვევაში სქესს არ აქვს მნიშვნელობა.

გაფიკი N42




გამოკითხულთა უმრავლესობისთვის - 59,43% ქალები უფრო მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

გრაფიკი N43




რესპონდენტთა 49% აზრით მუნიციპალიტეტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას ხელს უშლის დროის უქონლობა და საოჯახო საქმიანობა, 31,49% ამ საკითხისადმი კაცების ნეგატიურ დამოკიდებულებას მიიჩნევს მიზეზად, 25,15% შესაბამისი ცოდნის არ ქონას ასახელებს, 24,16% ოჯახის წევრების წინააღმდეგობას და 23,76% საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება ქალთა პოლიტიკაში მონაწილეობის მიმართ.

გრაფიკი N44




მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო, სად ირღვევა ყველაზე მეტად ქალის უფლებები და გამოკითხულთა 55,29% თვლის, რომ მათი უფლებები ყველაზე ხშირად ირღვევა ოჯახში.

გრაფიკი N45




რესპონდენტთა 46,57%-ის აზრით, მათი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფა სახალხო დამცველის საქმეა, ადგილობრივი თვითმმართველობა დაასახელა 38,29%-მა, ა/ორგანიზაციები 18,14% და საერთაშორისო ორგანიზაციები 17,29%.

გრაფიკიN46



გამოკითხულთა 29,14%-ის შეფასებით, ამ პრობლემის მოგვარებაზე ყველაზე ეფექტიანად მუშაობს ადგილობრივი ხელისუფლება, 28,57% - ა/ორგანიზაციები, 12,57%- სახალხო დამცველი და 8,71- საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო 6,29%-ის აზრით არავინ არ მუშაობს ამ მიმართულებით.


გრაფიკიN47



კვლევისას მნიშვნელოვანი იყო გაგვეგო ქალების დამოკიდებულება, ითვალისწინებს თუ არა ადგილობრივი ხელისუფლება მათ ინტერესებსა და პრობლემებს თავიანთი საქმიანობის დროს, რამდენად ხედავენ ისინი მათთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. 33,86%-ის აზრით, ადგილობრივი ხელისუფლება ითვალისწინებს ქალთა ინტერესებს და პრობლემებს, 30,57% მიიჩნევს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ ითვალისწინებს მუშაობაში ქალთა ინტერესებს და პრობლემებს, 29,71%-ის აზრით ნაწილობრივ ხდება ქალთა ინტერესების და პრობლემების გათვალისწინება.

ასევე საინტერესო იყო გაგვეგო ქალების დამოკიდებულება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს კაცი მარტო უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას თუ არა და აღმოჩნდა 53,57%-თვის, რომ გადაწყვეტილებას ქალი და კაცი ერთად უნდა იღებდნენ, ქალთა 22,86% ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხოლოდ კაცმა უნდა მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები.

გრაფიკი N48




ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეტად შეუწყობს ხელს ქალთა ინტერესების გათვალისწინებას, რასაც 69,58%-მა დადებითად უპასუხა. ასევე, დადებითად უპასუხა კითხვას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტად უნდა იყოს თუ არა მიჩნეული ქალებისა და კაცების თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების უზრუნველყოფა 72,57%-მა. საინტერესო იყო, კვლევის დროს გაგვეგო საჭიროდ მიაჩნიათ თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად აქტიურობა თუ არა და აღმოჩნდა, რომ 87,86% მნიშვნელოვნად მიიჩნევს ქალთა აქტიურობას თავიანთი ინტერესების და უფლებების დასაცავად.

ასევე მნიშვნელოვანია გაგვეგო ქალების და კაცების თანაბარი მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში უკეთესობისკენ შეცვლის თუ არა ჩვენ ყოფას და ამ კითხვაზე გამოკითხულთა 71,43%-მა დადებითად უპასუხა.


ქალთა ოთახები

რაოდენობრივი კვლევის საგანი ამ ნაწილში იყო ჩვენს სამიზნე რეგიონებში ახალი მუნიციპალური სერვისის-ქალთა ოთახების საქმიანობის შესახებ რამდენად ინფორმირებულია მოსახლეობა და კერძოდ, ჩვენი რესპონდენტები იცნობენ თუ არა მათ საქმიანობას, გამოკითხულთა 52,86%-მა არ იცის სერვისის არსებობის შესახებ, 44,75%-ს აქვს ინფორმაცია ქალთა ოთახზე. შესაბამისად, ქალთა ოთახის მომსახურებით 60,58% არ უსარგებლია, უსარგებლია მხოლოდ ინფორმირებულ 33,33%-ს. თუ რატომ არ უსარგებლიათ ამ სერვისით, ინფორმირებულ გამოკითხულთა 65,08% უპასუხა, რომ მას არ დაჭირვებია მსგავსი მომსახურება. გამოკითხულთა უმრავლესობა- 40,71% ეთანხმება იმ მომსახურებას რაც გააჩნია ქალთა ოთახებს და დამატებითი შემოთავაზება არ აქვთ. 9,94% ტრენინგებსა და გრანტებს მიიჩნევს მნიშვნელოვან კომპონენტად, 8,97% მნიშვნელოვნად თვლის საინფორმაციო შეხვედრებს ქალთა საკითხებზე, 4,81%- სხვადასხვა სასწავლო კურსების არსებობას ქალთა ოთახის მნიშვნელოვან საქმედ მიიჩნევს და მხოლოდ 4,17% თვლის, რომ არასაკმარისია ის რაც არის.


გრაფიკი N49



გრაფიკი N50



გრაფიკი N51



რეკომენდაციები

კვლევის შედეგებზე და “ჰორიზონტის გაფართოება: გაუმჯობესებული არჩევანი ქალთა და გოგონათა პროფესიული და ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ პროექტზე მუშაობის გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა გამოვლენილი საჭიროებების და პრიორიტეტების გათვალისწინებით შეგვემუშავებინა შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ გამოკითხვაში მონაწილე ქალების დიდი უმრავლესობა პატრიარქალური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი გენდერული სტერეოტიპების გარემოცვაში ცხოვრობს. მნიშვნელოვანია, ნეგატიური სტერეოტიპების

ნგრევის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის აქტიური მონაწილეობით, სხვადასხვა საგანმანათლებლო საქმიანობითა და საინფორმაციო კამპანიების საშუალებით.

- ✓ კვლევამ აჩვენა, რომ ქალებს აქვთ სურვილი აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებში. შესაბამისად, საჭიროა, გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მუნიციპალიტეტების მხრიდან. მათი უფრო მეტად ჩართულობისთვის აუცილებელია უმრავლესობას ქონდეს წვდომა მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებზე.
- ✓ სასურველია, მუნიციპალურ საქმიანობაში ქალთა ჩართულობის საჭიროების პროპაგანდა და ხელშეწყობა.
- ✓ ქალთა უფლებებზე-შესაძლებლობებზე და მუნიციპალიტეტში არსებულ სერვისებსა და მომსახურებებზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.
- ✓ მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის საკითხთან დაკავშირებული ინფორმაციის პროაქტიურად გავრცელება, რაც ხელს შეუწყობს არსებული პრობლემური მდგომარეობის უკეთ გააზრებასა და არსებული არაჯანსაღი დამოკიდებულების შეცვლას.
- ✓ მუნიციპალიტეტის მხრიდან მნიშვნელოვანია სოფლის კრებებზე ქალთა დასწრების და მონაწილეობის პროპაგანდა.
- ✓ მუნიციპალიტეტები და სოფლებში გამგებლის წარმომადგენლები (რწმუნებულები) უნდა დაეხმარონ და წახალისონ ქალთა ოთახების საქმიანობა და გაავრცელონ ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ, ასევე, მათგან მიიღონ ინფორმაცია ქალთა საჭიროებებთან დაკავშირებით.
- ✓ მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებაზე მიმართულ პროგრამებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა და მიმდინარე სახელმწიფო პროგრამაზე ინფორმაციის მიწოდება უნდა გაზარდოს.
- ✓ მუნიციპალიტეტმა და სხვადასხვა სამსახურებმა, ასევე უნდა უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალებისთვის ადეკვატური ხელმისაწვდომობა სოციალური სამსახურების, ჯანდაცვის დაწესებულებების პროგრამების, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობის შესახებ.
- ✓ მნიშვნელოვანია ქალების მონაწილეობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში გადაწყვეტილების მიღების დონეზე, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას და ეკონომიკურ გაძლიერებას ადგილებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

CEDAW დასკვნითიკომენტარიმეოთხედამეხუთეერთიანიპერიოდულიანგარიშებზე, CEDAW /C/GEO / CO / 4-5, პუნქტი 33, ივლისი 2014 წ.
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/156812/1/SoflisMeorneobisaDaAdgilobriviGanvitarebisSistemebisGenderuliShefaseba.pdf>

სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი განვითარების სისტემების გენდერული შეფასება

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/156812/1/SoflisMeorneobisaDaAdgilobriviGanvitarabisSistemebisGenderuliShefaseba.pdf>

ქალთაეკონომიკურიშესაძლებლობებიდაგამოწვევები. 2014 წელი
<http://www.economists.ge/storage/uploads/publication/141222051546a791.pdf>

აქართველოსკონსტიტუციაშიცვლილებებისადადამატებებისშეტანისშესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1080890>

http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/health/Qali%20da%20kaci_2015.pdf

გვ. 4-7

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

<https://matsne.gov.ge/ka/document/download/44014/0/ge/doc>[ბოლოს ნანახია 22. 08.2016].

საქართველოშიგენდერულითანასწორობის

პოლიტიკისგანხორციელებისლონისძიებათა 2007-2009

წლებისსამოქმედოგეგმისდამტკიცებისშესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2053681>

ოჯახშიძალადობისაღკვეთის,

ოჯახშიძალადობისმსხვერპლთადაცვისადადახმარებისშესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422>

ადამიანითვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგბრძოლისშესახებ“

საქართველოსკანონშიცვლილებისშეტანისთაობაზე

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1643912>

გენდერულითანასწორობისშესახებ კანონი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624>http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/health/Qali%20da%20kaci_2015.pdf გვნ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2250269>[ბოლოს ნანახია 25.01.2016].

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2235622>[ბოლოს ნანახია 25.08.2016].

სამოქალაქოთანასწორობისადაინტეგრაციისსახელმწიფოსტრატეგიისადა 2015-2020

წწ. სამოქმედოგეგმისდამტკიცებისშესახებ

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2958879>[ბოლოს ნანახია 25.08.2016].

გლობალურიგენდერულიინდექსი,2015წ. (ბოლო ნახვა 20.08.16)

ქალთაეკონომიკურიშესაძლებლობები, გლობალური

ინდექსიდარეიტინგიEconomist Intelligence Unit - დან. 2012წელი.

გენდერული თანასწორობის საქართველოში
საერთაშორისო ინდექსების დარეიტინგებზე

დაყრდნობით.

<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/156812/1/SoflisMeorneobisaDaAdgilobriviGanvitarebisSistemebisGenderuliShefaseba.pdf> ნანიბენდელიანი, 2012. (ბოლო ნახვა 20.08.16).